

სერგო ზაქარიაძე

სერგო ზაქარიაძე დაიბადა ბაქოში 1907 წლის 1 ივლისს (ძვ. სტ. 18 ივნისს). ბაქოს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო ჯერ ზესტაფონის საშუალო სკოლაში, შემდეგ კი თბილისის მე-2 საშუალო სკოლაში, რომელიც 1925 წელს დაამთავრა.

სცენაზე პირველად ბავშვობისას გამოვიდა ბაქოს ქართულ თეატრში გამართულ წარმოდგენაში, ეგნატე ნინოშვილის „სპირიდონ მცირეშვილის“ მიხედვით დადგმულ სპექტაკლში. სწავლობდა თბილისის დრამატულ სტუდიაში, რომელსაც აკაკი ფალავა ხელმძღვანელობდა.

1926 წელს მიიღეს შ. რუსთაველის სახელობის თეატრში. 1927-1929 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1928-1932 წლებში მუშაობდა კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ ქუთაის-ბათუმის სახელმწიფო თეატრში, რომელსაც შემდგომ თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი ეწოდა.

1932-1937 წლებში მუშაობდა „სახკინმრეწვე“ (ამჟამად კინოსტუდია „ქართული ფილმი“), მაგრამ თეატრთან კავშირი არ გაუწყვეტია და ხშირად მონაწილეობდა ქუთაისის, თელავისა და ხონის თეატრების სპექტაკლებში.

1937-1956 წლებში მუშაობდა თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. 1955-1960 წლებში შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში სასცენო მეტყველებას ასწავლიდა.

1956-1971 წლებში მუშაობდა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მსახიობად, 1969 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე იყო თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. არჩეული იყო სსრკ-ის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობისა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად.

ს. ზაქარიაძეს თეატრის სცენაზე შესრულებული აქვს 100-ზე მეტი როლი, რომელთა შორის აღსანიშნავია: ბახა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“), ჯიბილო (პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“), ბაგრატიონი (ალექსანდრე სამსონიას „ბაგრატიონი“), ჟამთაბერი (მიხეილ ჯაფარიძის „ჟამთაბერის ასული“), არჩილი (იონა ვაკელის „შური“), ფილიპი, ჯაკომო (პერსი ბიში შელის „ბეატრიჩე ჩენჩი“), გიჟუა (აქესენტი ცაგარელის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“), რუი ბლაზი (ვიქტორ ჰიუგოს „რუი ბლაზი“), რიბაკოვი (ნიკოლაი პოგოდინის „კრემლის კურანტები“), შალვა (სერგო კლდიაშვილის „მათი ამბავი“), გიორგი გიგაური (ილო მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“), გიორგი ჯაფარიძე (რეზო თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“), გიორგი სააკაძე, ბახუტა (უშანგი ჩხეიძის „გიორგი სააკაძე“), მერაბ რატიანი, მეფე დავითი, ბესიკ გაბაშვილი (ლევან გოთუას „უძლეველნი“, „დავით აღმაშენებელი“, „მეფე ერეკლე“), დომენტი (შალვა დადიანის „ნაპერწკლიდან“), თინიბეგი (მიხეილ მრევლიშვილის „ზვავი“), აგაბო, მინაგო (ოტია იოსელიანის „ადამიანი იბადება ერთხელ“ და „სანამ ურემი გადაბრუნდება“), ქადაგი (დავით გაჩეჩილაძის „ბახტრიონი“), ფიროსმანი, დევი (გიორგი ნახუცრიშვილის – „ფიროსმანი“, „ჭინჭრაქა“), შაქრო (ოთარ მამფორიას „მეტეხის ჩრდილში“), ბეკინა (დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“), შუისკი (ალექსანდრე პუშკინის „ბორის გოდუნოვი“), არბენინი (მიხაილ ლერმონტოვის „მასკარადი“), ტეტერევი (მაქსიმ გორკის „მდაბიონი“), ურიელ აკოსტა და რუვიმი (კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტა“), კრეონტი (ჟან ანუის „ანტიგონე“), კავალერი რიპაფრატა (კარლო გორდონის „სასტუმროს დიასახლისი“), დენფორტი (ართურ მილერის „სეილემის პროცესი“), ოიდიპოსი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“), კაცი მანტიით (პაველ კოჰოუტის „როცა ასეთი სიყვარულია“), ალექსეი (ვსევოლოდ ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია“), პროკურორი დენფორტი (ართურ მილერის „სეილემის პროცესი“), ლირი (უილიამ შექსპირის „მეფე ლირი“) და სხვა.

სერგო ზაქარიაძეს მრავალი მხატვრული სახე აქვს შექმნილი კინოფილმებშიც: თორღვაი (სიკო დოლიძის „უკანასკნელი ჯვაროსნები“), სიმონა (სიკო დოლიძის „დარიკო“), შადიმან ბარათაშვილი (მიხეილ ჭიაურელის „გიორგი სააკაძე“), ვარდენი (სიკო დოლიძის „მეგობრობა“), სარდიონი („სამშობლო“), ლაიონიკუსი (სერგეი იუტკევიჩის „ალბანეთის დიადი მეომარი სკანდერბეგი“), მოხუცი (რევაზ ჩხეიძის „ზღვის ბილიკი“), მინაგო (ოთარ აბესაძის „მალე გაზაფხული მოვა“), ალმასხანი (სიკო დოლიძის „შეხვედრა წარსულთან“), ივანე (სიკო დოლიძის „პალიასტომი“), ფოსტალიონი გიორგი (სიკო დოლიძის „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“), ექიმი ლევანი (გიორგი დანელიას „არ დაიდარდო“), ბლიუხერი (სერგეი ბონდარჩუკის „ვატერლოო“) და სხვა.

სერგო ზაქარიაძე შესანიშნავად ფლობდა დეკლამაციის ხელოვნებას. ხშირად მონაწილეობდა რადიოგადაცემებსა და ლიტერატურულ საღამოებში, მართავდა პერსონალურ ლიტერატურულ საღამოებს. მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა მის მიერ ოსტატობით წაკითხულმა ნაწყვეტებმა იოჰან ვოლფგანგ გოეთეს დრამიდან „ეგმონტი“, სიმფონიური ორკესტრის თანხლებით, რომელიც ასრულებდა ამ დრამისთვის დაწერილ ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის უვერტიურასა და მუსიკალურ ფრაგმენტებს.

1946 წელს კინოფილ „გიორგი სააკაძეში“ შადიმან ბარათაშვილის, ხოლო 1952 წელს გიორგი გიგაურის როლის შესრულებისთვის სპექტაკლში „მისი ვარსკვლავი“ სერგო ზაქარიაძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია.

მუდამ მაძიებელი და მახვილი მხატვრული აზროვნების მსახიობი გამოირჩეოდა უსაზღვრო შრომისმოყვარეობითა და პრინციპულობით. სპექტაკლის პრემიერის შემდგომაც სერგო ზაქარიაძე გამუდმებით მუშაობდა როლებზე.

სერგო ზაქარიაძე სცენასა და ეკრანზე წარმოაჩენდა ახალი ტიპის ხელოვანის საუკეთესო თვისებებს, დაძაბულ შემოქმედებით მუშაობას წარმატებით უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. მსახიობმა გიორგი მახარაშვილის სახე მოხერხებულად განაზოგადა და შთამბეჭდავი მხატვრული ძალით შეასხა ხორცი. „ჯარისკაცის მამამ“ ტრიუმფით მოიარა ყოფილი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკრანები. 1965 წელს გიორგი მახარაშვილის როლის შესრულებისთვის სერგო ზაქარიაძეს ლენინური პრემია მიენიჭა, იმავე წელს მოსკოვის მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალზე მიიღო პრემია მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

1971 წელს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია (გარდაცვალების შემდეგ).

1943 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის, 1946 წელს – საქართველოს სახალხო არტისტის, ხოლო 1958 წელს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება. გარდაიცვალა 1971 წლის 13 აპრილს. დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

სერგო ზაქარიაძის არქივი შეადგენს 1317 ერთეულს. არქივში დაცული დაბადების მოწმობის მიხედვით მისი დაბადების დღედ ითვლება 1907 წლის 20 ოქტომბერი, ხოლო დაბადების ადგილად კი ქუთაისი. აღსანიშნავია, რომ სერგო ზაქარიაძეს დაბადების თარიღად სხვადასხვა საანკეტო მონაცემებში უწერია 1909 და 1912 წლები. ამასთანავე, დაბადების 60 წლისთავი აღინიშნა 1969 წელს. საფლავზე კი 1907 წელია მითითებული. ამდენად, საჭიროა, ყველა ოფიციალურ მონაცემში სერგო ზაქარიაძის დაბადების თარიღის შეცვლა.

ყურადღებას იპყრობს სერგო ზაქარიაძის ჩანაწერები სამსახიობო და სარეჟისორო ოსტატობის შესახებ, რაც საინტერესო თეორიული შეხედულებებია და შემდგომ შესწავლას საჭიროებს. აგრეთვე, მის დღიურებში ასახულია მარჯანიშვილისა რუსთაველის სახელობის თეატრებში არსებული ვითარებები, მხატვრული კითხვის საღამოების მომზადება, მაშინდელი საზოგადოების დამოკიდებულება მისი შემოქმედებისადმი, მოგზაურობები რაჭა-ლეჩხუმსა და ფშავ-ხევსურეთში, შემოქმედებითი და ტურისტული მოგზაურობები ალბანეთში, ინგლისში, იაპონიასა და ეგვიპტეში. არქივი სრულიად განსხვავებული სახით წარმოგვიდგენს სერგო ზაქარიაძის პიროვნებასა და დამოკიდებულებას სამსახიობო ხელოვნებასთან, თეატრთან, კინოსთან, საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

სერგო ზაქარიაძის პირადი არქივი

პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი მასალები მონუმენტები, წიგნაკები

1. სერგო ზაქარიაძის ქუთაისის სამუსიკო ტექნიკუმის ვოკალური კლასის საინსტრუქტორო განყოფილების მოსწავლის პირადობის მონუმბა.
1935 წ. 19 აპრილი. ქუთაისი. სტამბური. ხელნაწერი. ხელს აწერს ტექნიკუმის გამგე – ილ. აბაშიძე. მელანი. ბეჭედდასმული. 1 ც.
2. ს. ზაქარიაძის მონუმბა მედლისთვის „შრომითი მამაცობისთვის“.
1942 წ. 17 ივლისი. მოსკოვი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.
3. ს. ზაქარიაძის „წითელი დროშის“ ორდენის წიგნაკი.
1944 წ. 17 ივლისი. მოსკოვი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.
4. თბილისის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის დროებითი საშვი გაცემული ს. ზაქარიაძის სახელზე.
1948 წ. 28 თებერვალი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.
5. ს. ზაქარიაძის სამხედრო ბილეთი.
1948 წ. 23 აპრილი. მოსკოვი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.
6. ს. ზაქარიაძის „საპატიო ნიშნის“ ორდენის წიგნაკი.
1950 წ. 25 დეკემბერი. მოსკოვი. სტამბური. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.
7. ს. ზაქარიაძის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსტერნის ჩათვლის წიგნაკი.
1953 წ. 10 ივნისი. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.
8. სერგო ზაქარიაძის დაბადების მონუმბა.
1953 წ. 20 ოქტომბერი. ქუთაისი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. 1 ც. თან ერთვის ფოტოასლი. 2 ც.
9. საქართველოს თეატრალური საზოგადოების მონუმბა ს. ზაქარიაძისადმი, მოსკოვსა და ლენინგრადში მივლინებისას თეატრებში რეპეტიციებსა და სპექტაკლებზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1955 წ. 16 ივლისი. თბილისი. ბლანკი. სტამბური. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანი დ. ჩხეიძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.
10. ს. ზაქარიაძის მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილის პირადობის მონუმბა.
1958 წ. მარტი. მოსკოვი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.
11. ს. ზაქარიაძის რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობის პირადობის მონუმბა.
1958 წ. 31 დეკემბერი. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორი – დ. ანთაძე. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

12. ს. ზაქარიადის უმუშევრობის გამო დახმარების მიღების წიგნაკი.
1959 წ. 27 მაისი. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. 1 ც.
13. ს. ზაქარიადის რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობის პირადობის მოწმობა.
1960 წ. 31 დეკემბერი. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორი – დ. ანთაძე. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
14. ს. ზაქარიადის სამკერდე ნიშნის მოწმობა „წარჩინებული კულტურული შეფობისთვის სსრკ-ის შეიარაღებულ ძალებზე“.
1961 წ. 21 მარტი. მოსკოვი. სტამბური. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.
15. ს. ზაქარიადის IV სამმართველოს სამედიცინო ბარათი.
1965 წ. 12 აპრილი. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
16. ს. ზაქარიადის სსრკ-ის კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრის პირადობის მოწმობა.
1965 წ. 15 აპრილი. მოსკოვი. სტამბური. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.
17. ს. ზაქარიადის საიუბილეო მედლის „მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების ოცი წლისთავის“ მოწმობა.
1965 წ. 7 მაისი. მოსკოვი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სამხედრო კომისარი გოგობერიშვილი. რუსულ ენაზე. 1 ც.
18. ს. ზაქარიადის სსრკ-ის კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი დამფუძნებელი ყრილობის მანდატი.
1965 წ. 23 ნოემბერი. მოსკოვი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.
19. ს. ზაქარიადის რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობის პირადობის მოწმობა.
1965 წ. 31 დეკემბერი. მოსკოვი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული.
20. ს. ზაქარიადის სამკერდე ნიშნის „წარჩინებული მეზღვაურის“ მოწმობა.
1966 წ. 5 მაისი. მოსკოვი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.
21. ს. ზაქარიადის ლენინური პრემიის ლაურეატის მოწმობა.
1966 წ. 10 მაისი. მოსკოვი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს ლიტერატურასა და ხელოვნებაში ლენინური პრემიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ტიხონოვი. რუსულ ენაზე. 1 ც.
22. ს. ზაქარიადის ლენინის ორდენის წიგნაკი.
1966 წ. 25 მაისი. მოსკოვი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე. რუსულ ენაზე. 1 ც.
23. ს. ზაქარიადის მედლის მოწმობა და ბრძანება „საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების 50 წლისთავი“.
1968 წ. 23 თებერვალი. მოსკოვი. სტამბური. ბეჭედდასმული. ხელს აწერს სსრკ-ის თავდაცვის მინისტრი ა. გრეჩკო. რუსულ ენაზე. 1 ც.
24. ს. ზაქარიადის საიუბილეო მედლის მოწმობა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავი“.
1968 წ. 21 ოქტომბერი. თბილისი. სტამბური. ბეჭედდასმული. ხელს აწერს რექტორი ილია ვეკუა. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
25. ს. ზაქარიადის სსრკ-ის კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრის მოწმობა.
1969 წ. 20 მარტი. მოსკოვი. სტამბური. ბეჭედდასმული. ხელს აწერს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი კულიჯანოვი. რუსულ ენაზე. 1 ც.

26. ს. ზაქარიადის სსრკ-ის უმაღლეს საბჭოსთან არსებული ეროვნებათა საბჭოს მე-8 მოწვევის დეპუტატის მოწმობა.
1970 წ. მოსკოვი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.
27. ს. ზაქარიადის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის მოწმობა (სიკვდილის შემდეგ).
1971 წ. 13 მაისი. თბილისი. სტამბური. ხელს აწერს რუსთაველის პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე გრიგოლ აბაშიძე. 1 ც.
28. ს. ზაქარიადის მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობის მოწმობა.
უთარილო. თბილისი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

ავტობიოგრაფიები

29. სერგო ზაქარიადის ავტობიოგრაფია.
1951 წ. 5 ოქტომბერი. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.
30. ს. ზაქარიადის ავტობიოგრაფია.
უთარილო. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.
31. ს. ზაქარიადის ავტობიოგრაფია.
უთარილო. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

კადრების აღრიცხვის პირადი ფურცლები, ცნობარები, საკვალიფიკაციო ფურცლები

32. სერგო ზაქარიადის ალბანეთში ტურისტული მოგზაურობის ცნობარი.
1955 წ. 18 აპრილი. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. მასალას ერთვის 2 ფოტოსურათი.
რუსულ ენაზე. 2 გვ.
33. ს. ზაქარიადის ალბანეთში ტურისტული მოგზაურობის ცნობარი.
1955 წ. 20 აპრილი. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
34. ს. ზაქარიადის მიერ შევსებული საქართველოს სათეატრო მუზეუმის ცნობარი.
1969 წ. 30 მარტი. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. 3 გვ.
35. ს. ზაქარიადის საზღვარგარეთ გასამგზავრებელი ანკეტა.
1970 წ. 17 აპრილი. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. 5 გვ. 2 ეგზ.
36. ს. ზაქარიადის ალბანეთში ტურისტული მოგზაურობის ცნობარი.
უთარილო. თბილისი. სტამბური. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
37. ს. ზაქარიადის საკვალიფიკაციო ფურცელი.
უთარილო. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. 4 გვ.
38. ს. ზაქარიადის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
უთარილო. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. 4 გვ.
39. ს. ზაქარიადის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
უთარილო. თბილისი. სტამბური. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

40. ს. ზაქარიადის დაჯილდოების ფურცელი.
უთარილო. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. 4 გვ.

დახასიათებები

41. სერგო ზაქარიადის დახასიათება.
1954 წ. მაისი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი – ივ. გვინჩიძე, მთავარი რეჟისორი – ვ. ტაბლიაშვილი. 1 გვ.
42. ს. ზაქარიადის დახასიათება.
1955 წ. 21 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი – ივ. გვინჩიძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.
43. ს. ზაქარიადის დახასიათება.
1957 წ. 25 დეკემბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორი – დ. ანთაძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.
44. ს. ზაქარიადის დახასიათება.
1958 წ. 11 თებერვალი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე – აკაკი დვალიშვილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
45. ს. ზაქარიადის დახასიათება.
1959 წ. 17 დეკემბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორი – დ. ანთაძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.
46. ს. ზაქარიადის დახასიათება.
უთარილო. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს თბილისის კინოსტუდიის დირექტორი – მ. კვესელავა. რუსულ ენაზე. 1 გვ.

ბრძანებები

47. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორის ივანე გვინჩიძის ბრძანება, სერგო ზაქარიადისთვის მადლობის გამოცხადებისა და ერთი თვის ხელფასით დაჯილდოებასთან დაკავშირებით.
1945 წ. 6 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ასლი. 1 გვ.
48. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის როსტომ შადურის ბრძანება, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მუშაობაში დეზორგანიზაციის შეტანისთვის სერგო ზაქარიადის განთავისუფლებასთან დაკავშირებით.
1947 წ. 21 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ასლი. 1 გვ. 1 ქსეროასლი.
49. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორის ივანე გვინჩიძის ბრძანება, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მუშაობაში დეზორგანიზაციის შეტანისთვის სერგო ზაქარიადის განთავისუფლებასთან დაკავშირებით.
1947 წ. 24 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ასლი. 1 გვ. 2 ეგზ.
50. საქართველოს კულტურის მინისტრის ავთანდილ გუნიას ბრძანება, სამინისტროსთან თეატრების სამხატვრო საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით.
1956 წ. 3 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ასლი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
51. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის ბრძანება, სერგო ზაქარიადის შსს-ს საპატიო სიგელით დაჯილდოებასთან დაკავშირებით.
1969 წ. 3 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

52. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის აკაკი დვალიშვილის ბრძანება, ს. ზაქარიადის ბერლინში გამგზავრების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით.
1969 წ. 30 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

მიმართვაში, შეტყობინებაში

53. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებული სექტორის გამგის მიმართვა სამხედრო საავიაციო შტაბის უფროსის კ. ჩაჟენისადმი, ს. ზაქარიადისთვის ერთი ადგილის გამოყოფასთან დაკავშირებით.
1943 წ. 22 მაისი. თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
54. თბილისის სტალინის რაიონის სამხედრო კომისრის გაბუნიას შეტყობინება, ამავე რაიონის მილიციის განყოფილებასთან არსებული სამხედრო-სააღრიცხვო მაგიდის უფროსისადმი, ს. ზაქარიადისთვის სამხედრო განწვევის გადავადებასთან დაკავშირებით.
1945 წ. 3 ივნისი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
55. სსრკ-ის თეატრების მთავარი სამმართველოს კადრების განყოფილების უფროსის ი. დემიდოვის მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, სტალინური პრემიის ლაურეატთა კრებულისთვის მასალების მიწოდებასთან დაკავშირებით.
1946 წ. 3 ოქტომბერი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
56. სსრკ-ის თეატრების მთავარი სამმართველოს კადრების განყოფილების უფროსის კ. რუშევის მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, სტალინური პრემიის ლაურეატთა კრებულისთვის მასალების მიწოდებასთან დაკავშირებით.
1947 წ. 4 იანვარი. მოსკოვი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
57. საქართველოს განათლების მინისტრის ვიქტორ კუპრადის მიმართვა აფხაზეთისა და აჭარის განათლების მინისტრებისადმი, სკოლებში მოსწავლეებისთვის მხატვრული კითხვის საღამოების ჩასატარებლად ს. ზაქარიადისთვის ხელშეწყობასთან დაკავშირებით.
1947 წ. 14 თებერვალი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
58. საქართველოს განათლების მინისტრის ვიქტორ კუპრადის მიმართვა ქუთაისის, ახალციხის, ჭიათურის განათლების განყოფილებების გამგეებისა და ქუთაისის პედაგოგიკური რეპტორისადმი, სკოლებში მოსწავლეებისთვის მხატვრული კითხვის საღამოების ჩასატარებლად ს. ზაქარიადისთვის ხელშეწყობასთან დაკავშირებით.
1947 წ. 14 თებერვალი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
59. გრიგოლ კილაძის მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, ბეთჰოვენის გარდაცვალების 125 წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე დიდი კომპოზიტორისადმი მიძღვნილი იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ტრაგედია „ეგმონტიდან“ ნაწყვეტების წაკითხვასთან დაკავშირებით.
1952 წ. 10 მარტი. ქუთაისი. შტამპიანი ფურცელი. ნაბეჭდი. 1 გვ. 1 კ.
60. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორის მოადგილის პავლე პატარაიას მიმართვა ხელოვნების საქმეთა მთ. სამმართველოს უფროსის შალვა ბუაჩიძისადმი, ს. ზაქარიადის ავადმყოფობის გამო სპექტაკლის შეცვლასთან დაკავშირებით.
1953 წ. 24 ნოემბერი. თბილისი. შტამპიანი ფურცელი. ნაბეჭდი. 1 გვ.
61. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორის მოადგილის პავლე პატარაიას მიმართვა ხელოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის შალვა ბუაჩიძისადმი, ს. ზაქარიადის ავადმყოფობის გამო სპექტაკლის შეცვლასთან დაკავშირებით.
1953 წ. 26 ნოემბერი. თბილისი. შტამპიანი ფურცელი. ნაბეჭდი. 1 გვ.

62. ქუთაისის ეთნოგრაფიული მუზეუმის გამგის მიხეილ ნიკოლეიშვილის მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი გამოფენისთვის მასალების გაგზავნასთან დაკავშირებით.
1956 წ. 25 მაისი. ქუთაისი. შტამპიანი ფურცელი. ნაბეჭდი. 1 გვ.
63. ს. ზაქარიადის საბუთები სპექტაკლ „ოიდიპოს მეფეში“ ოიდიპოსის როლის განსახიერებისთვის ლენინურ პრემიაზე წარდგენასთან დაკავშირებით.
1957 წ. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. ნაბეჭდი. აკინძული წიგნად. რუსულ ენაზე. 48 გვ.
64. „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ რედაქტორის ლ. ანდრიანკინას მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, მის შესახებ მასალების გაგზავნასთან დაკავშირებით.
1958 წ. 22 აპრილი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
65. „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ რედაქტორის ლ. ანდრიანკინას მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, „მცირე საბჭოთა ენციკლოპედიისთვის“ მის შესახებ მასალების გაგზავნასთან დაკავშირებით.
1958 წ. 19 ივლისი. მოსკოვი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
66. საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის სახელით დუდე ძნელაძის მიმართვა საქართველოს კულტურის მინისტრის დავით ჩხიკვიშვილისადმი, ლენინურ პრემიაზე ს. ზაქარიადის კანდიდატურის მხარდაჭერასთან დაკავშირებით.
1960 წ. 18 ოქტომბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
67. გაზეთ „სოვეტსკაია კულტურის“ თეატრისა და დრამატურგიის განყოფილების რედაქტორის ი. მაღაშევის მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, სამსახიობო ხელოვნების შესახებ სტატიის დაწერასთან დაკავშირებით.
1961 წ. 20 აპრილი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. თან ერთვის ს. ზაქარიადის პასუხი სპექტაკლებისა და კინოგადაღებებში მოუცლელობის გამო, ვადების შეთანხმებასთან დაკავშირებით, რუსულ ენაზე. 1 გვ.
68. ს. ზაქარიადის საბუთები სპექტაკლებში „ოიდიპოს მეფე“ – ოიდიპოსის, „ბახტრიონში“ – ქადაგისა და კინოფილმში „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ ფოსტალიონის როლების განსახიერებისთვის, ლენინურ პრემიაზე წარდგენასთან დაკავშირებით.
1961 წ. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 129 გვ.
69. კინოსტუდია „არმენფილმის“ რეჟისორ ა. ეგიაზარიანის მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, ფილმის „მონადირე ლალვარიდან“ სცენარის გაგზავნასთან და ავაგრას როლის შეთავაზებასთან დაკავშირებით.
1965 წ. 31 მაისი. ერევანი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
70. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩის მრჩეველ შლეშის მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, გერმანელი მსახიობებისა და რეჟისორების ედუარდ ფონ ვინტერნშტაინის, ვოლფგანგ ლანგჰოფისა და ვალტერ ფელზენშტაინის შესახებ გამოქვეყნებული წიგნების გაგზავნასთან დაკავშირებით.
1965 წ. 1 ივნისი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ. 1 კ.
71. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, მისთვის შეცდომით გაგზავნილი წერილის ვიქტორ კახნიაშვილისთვის გადაგზავნასთან დაკავშირებით.
1965 წ. 1 ივნისი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
72. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის აკაკი დვალიშვილის მიმართვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისადმი, ს. ზაქარიადის იაპონიაში გამგზავრებასთან დაკავშირებით.
1965 წ. 14 აგვისტო. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
73. გაზეთ „ტრუდის“ ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების თანამშრომლის ო. მელნიჩენკოს მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, ბოზნეკის წერილის გაგზავნასთან დაკავშირებით.

1965 წ. 31 აგვისტო. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. თან ერთვის ბოზნეკის წერილი რედაქციისადმი, რომ ს. ზაქარიაძის ინტერვიუში აღნიშნული ფაქტი ნ. კალანდარიშვილის მიერ კოლჩაკის დატყვევების შესახებ, სიმართლეს არ შეესაბამება. რუსულ ენაზე. 2 გვ.

74. საბჭოთა კინოხელოვნების უკრაინის ბიუროს პროპაგანდის განყოფილების დირექტორის მოადგილის ნ. ლუჩინას მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, მათ ბიუროში შეხვედრაზე მიწვევასთან დაკავშირებით.
1965 წ. 6 ოქტომბერი. კიევი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ. 1 კ.
75. რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორის ნოშრევან (დორიან) კიტიას მიმართვა საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის აკაკი დვალიშვილისადმი, რომ პრემიერის გამო ს. ზაქარიაძე ვერ გაემგზავრებოდა.
1965 წ. 6 ნოემბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
76. ჟურნალ „სოვეტსკი ფილმის“ უფროსი რედაქტორის გ. ვოევოძინას მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, მათ კითხვარზე პასუხის გაცემასთან დაკავშირებით.
1965 წ. 18 დეკემბერი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
77. მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური სახლის საპატიო თავმჯდომარის ვ. ბარსოვისა და დირექტორის ვ. ზოზულინის მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, მისი შემოქმედებითი საღამოს ჩატარებასთან დაკავშირებით.
1965 წ. 29 დეკემბერი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
78. მოსკოვის კრემლის თეატრის დირექტორის პ. კაბანოვის მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, მისი შემოქმედებითი საღამოს ჩატარებასთან დაკავშირებით.
1966 წ. 24 იანვარი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
79. გაზეთ „ლიტერატურნაია როსიას“ კორესპონდენტის ვალენტინა პოგოსტინას მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, მასზე სტატიის დაწერის გამო თბილისში ჩამოსვლასა და სპექტაკლ „მეფე ლირის“ ნახვასთან დაკავშირებით.
1966 წ. 4 თებერვალი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ. 1 კ.
80. სომხეთის თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის კ. კაზარიანის მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, რუსთაველის სახელობის თეატრის ერევანში გასტროლებთან დაკავშირებით.
1966 წ. 27 აპრილი. ერევანი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
81. გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ კულტურის განყოფილების გამგის გ. ბოჯგუას მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, მის შესახებ რედაქციაში მიღებული ლექსის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1966 წ. 10 ივნისი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
82. გაზ. „ასპინძის“ რედაქციის კოლექტივის სახელით ვ. ალელიშვილის მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, მკითხველებისთვის რუსთაველის 800 წლისთავის მილოცვასთან დაკავშირებით.
1966 წ. 2 სექტემბერი. ასპინძა. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ. 1 კ.
83. საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილის უშანგი ობოლაძის მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, ბათუმის რაიონის სოფელ ქედის რვანლიანი სკოლის საშუალო სკოლად გადაკეთებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით.
1966 წ. 13 სექტემბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
84. მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური სახლის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ზოზულინის მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, მისი შემოქმედებითი საღამოს გამართვასთან დაკავშირებით.
1966 წ. 24 სექტემბერი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
85. ჟურნალ „Новинки Киноэкрану“-ს („ეკრანის სიახლეები“) უფროსი რედაქტორის ა. სტრიჟევსკის მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, ჟურნალის მკითხველებისთვის საახალწლო მისალოცი წერილის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1966 წ. 8 ოქტომბერი. კიევი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ. 1 კ.

86. „სოვექსპორტფილმის“ დასავლეთ ევროპის ქვეყნების განყოფილების გამგის ს. კუზმიჩევის მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, საბერძნეთის ფირმის „დამასკინოს-მიხაელიდეს“ დირექტორ-განმკარგულების პაულ სიცილიანოსის მიერ, საბერძნეთში ყოფნისას მისი ფოტოსურათების მოსკოვში ჩამოტანასთან დაკავშირებით.
1966 წ. 25 ნოემბერი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
87. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველის მოადგილის მ. ჭიჭინაძის მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, მისი წერილის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისთვის გადაცემასთან დაკავშირებით.
1966 წ. 30 დეკემბერი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
88. სომხეთის თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის რაჩია კაპლანიანის მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, ავეტ ავეტისიანის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებულისთვის სტატიის დაწერასთან დაკავშირებით.
1967 წ. 28 თებერვალი. ერევანი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
89. აზიისა და აფრიკის ქვეყნებისადმი სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის დ. დოლიძის მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, ვიეტნამის მხარდამჭერი საბჭოთა კომიტეტის წევრად არჩევასთან და პირველ სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1967 წ. 7 მარტი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
90. მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალის გენერალური დირექტორის ვ. ბასკაკოვის მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, ჟიურის წევრად არჩევასთან დაკავშირებით.
1967 წ. 3 აპრილი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
91. გაზეთ „Книжное обозрение“-ს („წიგნების მიმოხილვა“) სპეცკორესპონდენტის ი. ბეილინსონის მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, გაზეთის ნომრის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1967 წ. 12 აპრილი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
92. ჟურნალ „Театр“-ის განყოფილების გამგის გ. შჩერბინას მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, ქართულ თეატრთან ან მის საყვარელ როლთან დაკავშირებით სტატიის დაწერის შესახებ.
1967 წ. 18 აპრილი. ნაბეჭდი. ბლანკი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
93. ინდოეთში „სოვექსპორტფილმის“ წარმომადგენლის ნ. სტოლიარსკის მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, კინოფილმ „ჯარისკაცის მამის“ ინდურ (ჰინდის) ენაზე თარგმნასა და კინოთეატრებში წარმატებით ჩვენებასთან დაკავშირებით.
1967 წ. 5 მაისი. ბომბეი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
94. საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობების საქართველოს საზოგადოების თანამშრომლის ვ. კახნიაშვილის მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, მისი სსრკ-გდრის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრად არჩევასთან დაკავშირებით.
1967 წ. 31 მაისი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
95. ჟურნალ „Новинки Киноэкрану“-ს („კინოეკრანის სიახლენი“) განყოფილების გამგის ა. სტრიჟეცკის მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, ჟურნალის მკითხველისთვის საახალწლო მისალოცი წერილისა და ფოტოსურათის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1967 წ. 18 სექტემბერი. კიევი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ. 1 კ.
96. დონეცკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს წარმომადგენლის ევგენი გოლდშტეინის მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, ანკეტის შევსებასა და ფოტოსურათის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1967 წ. 14 ნოემბერი. დონეცკი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ. 1 კ.
97. უკრაინის თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ხარჩენკოს მიმართვა ს. ზაქარიაძისადმი, უკრაინის თეატრალური ახალგაზრდობის თათბირში მონაწილეობასთან დაკავშირებით.
1966 წ. 21 ნოემბერი. კიევი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

98. გაზ. „На страже“-ს („სადარაჯოზე“) მთავარი რედაქტორის, პოლკოვნიკ გ. ზუბრევის მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, სამხედროებისთვის საახალწლო მისალოცი წერილის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1967 წ. 30 ნოემბერი. ბაქო. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ. 1 კ.
99. გაზეთ „На боевом посту“-ს („საბრძოლო პოსტზე“) მთავარი რედაქტორის, მაიორ ი. შარკოს მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, სამხედროებისთვის საბჭოთა შეიარაღებული ძალების მომავალ 50 წლისთავის გამო მისალოცი წერილის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1967 წ. 26 დეკემბერი. ნოვოსიბირსკი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ. 1 კ.
100. სსრკ-ის კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნებისა და ძეგლთა აცვის სამმართველოს უფროსის გ. ტიმოშინის მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, მხატვარ მერაბ მერაბიშვილის მიერ მისი პორტრეტის დახატვასთან დაკავშირებით.
1968 წ. 9 იანვარი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
101. მინსკის მე-16 სკოლის მუზეუმის საბჭოს წევრთა მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, ავტობიოგრაფიისა და ფოტოსურათის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1968 წ. 23 თებერვალი. მინსკი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ. 1 კ.
102. სოფელი ქედქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, შექმნილი პრობლემის მოსაგვარებლად, ზემდგომ ორგანოებთან დახმარების განცხადებით დაკავშირებით.
1968 წ. 30 ნოემბერი. სოფელი ქედქედი (აჭარა). შტამპიანი ფურცელი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ. 1 კ.
103. მინსკის მე-16 სკოლის მუზეუმის საბჭოს წევრთა მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, ექსპოზიციისთვის „ლენინური პრემიის ლაურეატები“ ავტობიოგრაფიისა და ფოტოსურათის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1968 წ. 23 დეკემბერი. მინსკი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
104. სსრკ-ის კულტურის მინისტრის მოადგილის ნ. მოხოვის მიმართვა ო. თაქთაქიშვილისადმი, ს. ზაქარიადისთვის უმაღლესი კატეგორიის ხელფასის დანიშვნასთან დაკავშირებით.
1969 წ. 1 აგვისტო. მოსკოვი. ნაბეჭდი. ბეჭდდასული. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
105. გრიბოედოვის თეატრის დირექტორის შალვა კილოსანიძის მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, მსახიობ ივანე რუსინოვის დაბადებიდან 60 წლისთავის აღსანიშნავ შემოქმედებით საღამოში მონაწილეობასთან დაკავშირებით.
1969 წ. 5 ნოემბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
106. გდრ-ის კულტურის მინისტრის კლაუს გიზის მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, საქართველოს კულტურის დღეების დამთავრების შემდეგ, გერმანიის თეატრალური ცხოვრების გაცნობასთან დაკავშირებით.
1969 წ. 6 ნოემბერი. ბერლინი. ნაბეჭდი. გერმანულ ენაზე. 1 გვ.
107. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის აკაკი დვალიშვილის მიმართვა „ოვირის“ უფროსის ა. კიკნაძისადმი, ს. ზაქარიადის პოლონეთში გასამგზავრებლად პასპორტის ჩანართის გაფორმებასთან დაკავშირებით.
1969 წ. 3 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
108. საქართველოს კულტურის მინისტროს სასწავლო დაწესებულებებისა და კადრების განყოფილების უფროსის რ. ვახტანგოვის მიმართვა საქ. კპ ცენტრალური კომიტეტისადმი, ს. ზაქარიადის ბერლინში გასამგზავრებლად ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით.
1969 წ. 26 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
109. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის ვლადიმერ იაკაშვილის მიმართვა „ოვირის“ უფროსის ა. კიკნაძისადმი, ს. ზაქარიადის გდრ-ში გასამგზავრებლად პასპორტის ჩანართის გაფორმებასთან დაკავშირებით.
1969 წ. 29 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

110. საქართველოს კულტურის მინისტრის ოთარ თაქთაქიშვილის მიმართვა საქ. კპ ცენტრალური კომიტეტისადმი, ს. ზაქარიადის პოლონეთში გამგზავრების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით. 1969 წ. 31 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
111. ლაიფციგის თეატრის გენერალური ინტენდანტის კ. კაიზერის მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, ლაიფციგში რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლების გამართვასთან დაკავშირებით. 1970 წ. 18 მაისი. ლაიპციგი (გდრ). ბლანკი. ნაბეჭდი. გერმანულ ენაზე. 1 გვ.
112. სსრკ-ის კინოფიკაციისა და კინოგაქირავების საინფორმაციო-სარეკლამო ბიუროს დირექტორის ი. ალექსანდროვის მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, ბუკლეტის „საბჭოთა კინოხელოვნების სიამაყის“ საჩუქრად გაგზავნასთან დაკავშირებით. 1970 წ. 20 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
113. პოლონეთის კულტურის სამინისტროს მიმართვა ს. ზაქარიადისადმი. 1969 წ. 12 ნოემბერი. ვარშავა. ბლანკი. ნაბეჭდი. პოლონურ ენაზე. 1 გვ.
114. საქართველოს კულტურის მინისტრის ოთარ თაქთაქიშვილის მიმართვა სსრკ-ის კულტურის მინისტრის მოადგილის ვ. პოპოვისადმი, გდრ-ში რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლების საპასუხოდ, თბილისში თეატრ „ბერლინერ-ანსამბლის“ გასტროლების გამართვასთან დაკავშირებით. 1970 წ. 7 დეკემბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
115. ა. ბახრუშინის სახელობის თეატრალური მუზეუმის დირექტორის გ. ბარანოვას მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, სპექტაკლების „მინის შვილებისა“ და „სანამ ურემი გადაბრუნდება“ აფიშების, ესკიზების, ფოტოსურათების გაგზავნასთან დაკავშირებით. 1971 წ. 12 იანვარი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
116. სტეფანაკერტის სომხური დრამის თეატრის მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, სპექტაკლის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ ბილეთების დაჯავშნასთან დაკავშირებით. 1971 წ. 20 თებერვალი. სტეფანაკერტი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
117. თბილისის მუსკომედიის თეატრის დირექტორის მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, ოპერეტა „მარიცას“ განხილვაში მონაწილეობასთან დაკავშირებით. 1971 წ. 9 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
118. რუსთაველის სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომისიის თეატრის სექციის თავმჯდომარის დოდო ანთაძის მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, სპექტაკლ „სამანიშვილის დედინაცვალში“ მსახიობების გიორგი გეგეჭკორისა და რამაზ ჩხიკვაძის პრემიაზე წარსდგენის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. 1971 წ. 12 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ. 1კ.
119. სომხეთის რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის დირექტორის მოადგილის მარინოსიანის მიმართვა ს. ზაქარიადისადმი, ერევნის ტელევიზიის მიერ თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრზე გადაცემის მომზადებასთან დაკავშირებით. უთარილო. ერევანი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ. 1 კ.

განცხადებები, ახსნა-განმარტებითი ბარათები

120. ნადეჟდა ანდრიანოვას განცხადება სერგო ზაქარიადისადმი, პირად საკითხებთან დაკავშირებით. 1966 წ. 9 იანვარი. ქუთაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ. 1 კ.
121. შერიფ ბარამიძის განცხადება სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ს. ზაქარიადისადმი, პირად საკითხებთან დაკავშირებით. 1966 წ. 25 ივნისი. სოფელი ჭარნალი (აჭარა). ნაბეჭდი. 2 გვ.

122. **ალ. ყიასაშვილისა და მერი ერგნელის განცხადება სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ს. ზაქარიადისადმი, ბინის მიღებასთან დაკავშირებით.**
1966 წ. 19 ივლისი. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. თან ერთვის საბინაო სამმართველოს ცნობა. 2 გვ.
123. **ასკალონ მაგრაქველიძის განცხადება სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ს. ზაქარიადისადმი, რუსთაველის სახელობის თეატრის შტატში აყვანასთან დაკავშირებით.**
1967 წ. 16 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.
124. **ანნა თათენაშვილის განცხადება სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ს. ზაქარიადისადმი, ომში დაღუპული მისი ძმის იოსებ თათენაშვილის საფლავის მოძებნასთან დაკავშირებით.**
1967 წ. 31 მაისი. ხაშური. ნაბეჭდი. 1 გვ.
125. **მსახიობ გიორგი გეგეჭკორის განცხადება ს. ზაქარიადისადმი, შვებულებაში გასვლასთან დაკავშირებით.**
1969 წ. 22 მარტი. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.
126. **მსახიობ ბორის წიფურიას ახსნა-განმარტებითი ბარათი ს. ზაქარიადისა და მიხეილ თუმანიშვილისადმი, მისი რეპერტუარში დაკავებასა და პირად საკითხებთან დაკავშირებით.**
1970 წ. 2 მარტი. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 3 გვ.
127. **მსახიობ კოტე მახარაძის განცხადება ს. ზაქარიადისადმი, თეატრიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებით.**
1970 წ. 17 მარტი. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.
128. **ქეთევან მახარაძის განცხადება სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ს. ზაქარიადისადმი, მისი შვილის ზ. ციმნარიძის სამსახურში მოწყობასთან დაკავშირებით.**
1970 წ. 10 აგვისტო. სოფელი აჭარისალმართი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

ოქმები

129. **სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შეხვედრის ოქმი ს. ზაქარიადესთან.**
პირი: დ. თევზაძე, ლ. ძნელაძე, გ. ფირცხალავა, ლ. მათითაშვილი.
1947 წ. 6 თებერვალი. სოხუმი. ნაბეჭდი. 11 გვ.
130. **ამიერკავკასიის ოფიცერთა სახლში გარნიზონის ოფიცრებთან შეხვედრის ოქმი ს. ზაქარიადესთან.**
პირი: ბაბაიანი, რ. ჩხეიძე, მამედოვი, პორაგაჩევი, ენენკოპოვი, ფედოსოვი, იაროშევსკი, პ. სინჩილინი, ბ. ტოტიკოვი.
1966 წ. 30 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 10 გვ.

ხელშეკრულებები

131. **ხელშეკრულება კინოფილმში „მეგობრობის“ დირექტორ ტ. მახარაძესა და ს. ზაქარიადეს შორის ვარდენის როლის შესრულებასთან დაკავშირებით.**
1939 წ. 29 მაისი. თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.
132. **ხელშეკრულება მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორ ივანე გვინჩიძესა და ს. ზაქარიადეს შორის მხატვრული კითხვის საღამოს ჩატარებასთან დაკავშირებით.**
1946 წ. 19 ოქტომბერი. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.
133. **ხელშეკრულება თბილისის კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების უფროსს ვ. ქოჩორაძესა და ს. ზაქარიადეს შორის სრულმეტრაჟიანი ფილმის „გამარჯვებულთა ოლიმპიადას“ საკავშირო ეკრანისთვის 3 ნაწილად გადაკეთებასთან დაკავშირებით.**
1950 წ. 7 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

134. ხელშეკრულება თბილისის კინოსტუდიასა და ს. ზაქარიაძეს შორის კინოფილმში „მწვერვალთა დამპყრობნი“ იაგორ ხუციშვილის როლის შესრულებასთან დაკავშირებით.
1951 წ. 25 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
135. ხელშეკრულება ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის ისიდორე დოლიძესა და ს. ზაქარიაძის, რ. თაბუკაშვილსა და გ. ცენტერაძეს შორის პიესის „ამხანაგი გიორგის“ დაწერასთან დაკავშირებით.
1952 წ. 7 აგვისტო. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.
136. ხელშეკრულება კინოფილმ „სკანდერბეგის“ დირექტორ ი. სვეტოზაროვსა და ს. ზაქარიაძეს შორის ლაონიკუსის როლის შესრულებასთან დაკავშირებით.
1953 წ. 7 მარტი. მოსკოვი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
137. ხელშეკრულება ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილეს ვახტანგ კუპრავასა და ს. ზაქარიაძესა და დ. გაჩეჩილაძეს შორის ოპერის ლიბრეტოს „არსენა მარაბდელის“ დაწერასთან დაკავშირებით.
1957 წ. 29 ივნისი. თბილისი. ნაბეჭდი. 3 გვ. 2 ეგზ.
138. ხელშეკრულება საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის მუსიკალურ გადაცემათა რედაქციის პასუხისმგებელ რედაქტორ გულნარა კაცელაშვილსა და ს. ზაქარიაძეს შორის, ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემისთვის ორნაწილიანი სცენარის დაწერასთან დაკავშირებით.
1957 წ. 25 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 2 გვ.
139. ხელშეკრულება ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე არჩილ ჩხარტიშვილსა და სერგო ზაქარიაძეს, სიმონ ჩიქოვანსა და ლევან გოთუას შორის მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადის დასკვნითი კონცერტის სცენარის დაწერასთან დაკავშირებით.
1957 წ. 2 სექტემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. 2 გვ.
140. ხელშეკრულება ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორის მოადგილე შ. ქუთათელაძესა და დამდგმელ-რეჟისორ ს. ზაქარიაძეს შორის ალ. ბუკიას ოპერის „არსენას“ დადგმასთან დაკავშირებით.
1957 წ. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
141. ხელშეკრულება ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორის მოადგილე შ. ქუთათელაძესა და დამდგმელ-რეჟისორ ს. ზაქარიაძეს შორის ალ. ბუკიას ოპერის „არსენას“ დადგმასთან დაკავშირებით.
1958 წ. 15 თებერვალი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
142. ხელშეკრულება გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორ ალიო ადამიასა და ს. ზაქარიაძეს შორის ნაშრომის „რეჟისორისა და მსახიობის შემოქმედებითი თანამშრომლობა, თანამედროვეთა პორტრეტების“ გამოცემასთან დაკავშირებით.
1960 წ. 1 სექტემბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.
143. ხელშეკრულება კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოფილმ „პალიასტომის“ დირექტორ შ. ქურდიანსა და ს. ზაქარიაძეს შორის ივანეს როლის შესრულებასთან დაკავშირებით.
1961 წ. 15 აგვისტო. თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
144. ხელშეკრულება კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოფილმ „ზღვის ბილიკის“ დირექტორ შ. ლაფერაძესა და ს. ზაქარიაძეს შორის მოხუცის როლის შესრულებასთან დაკავშირებით.
1962 წ. 7 ივლისი. თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
145. ხელშეკრულება კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოფილმ „ჯარისკაცის მამის“ დირექტორ შ. ლაფერაძესა და ს. ზაქარიაძეს შორის გიორგი მახარაშვილის როლის შესრულებასთან დაკავშირებით.
1964 წ. 15 იანვარი. თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

146. ხელშეკრულება კინოსტუდია „მოსფილმის“ კინოფილმ „სახალწლო კალენდარის“ დირექტორ შ. ტერტოსკანიანსა და ს. ზაქარიადეს შორის მაკარაშვილის როლის შესრულებასთან დაკავშირებით. 1965 წ. 4 ნოემბერი. თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
147. ხელშეკრულება კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოფილმ „მალე გაზაფხული მოვას“ დირექტორ შ. ქურდიანსა და ს. ზაქარიადეს შორის მინაგოს როლის შესრულებასთან დაკავშირებით. 1967 წ. 10 თებერვალი. თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
148. ხელშეკრულება კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოფილმ „არ დაიდარდოს“ დირექტორ გ. გვენეტაძესა და ს. ზაქარიადეს შორის ლევანას როლის შესრულებასთან დაკავშირებით. 1968 წ. 10 სექტემბერი. თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
149. ხელშეკრულება საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის აკაკი ძიძიგურსა და ს. ზაქარიადეს შორის კინოფილმ „რუსთაველის ნაკვალევზე“ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ჩანერასთან დაკავშირებით. უთარილო. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

ჯილდოები

საპატიო სიგელები

150. სსრკ-ის ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური კომიტეტის ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის საპატიო სიგელი კულტურულ-საშეფო მუშაობაში აქტიური მონაწილეობისთვის. 1938წ. მოსკოვი. სტამბური. ხელს აწერენ: ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე – ა. პაშკოვსკი, ხელოვნების მუშაკთა საკავშირო პროფკავშირის კომიტეტის მდივანი – ი. ტიტოვი. რუსულ ენაზე. 1 ც.
151. საქართველოს უმაღლესი საბჭოსპრეზიდიუმის საპატიო სიგელი სასცენო მოღვაწეობაში განსაკუთრებული წარმატებისთვის. 1939 წ. თბილისი. სტამბური. ხელს აწერენ: საქართველოს უმაღლესი საბჭოსპრეზიდიუმის თავმჯდომარე – ფ. მახარაძე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი – ვ. ეგნატაშვილი. ბეჭედდასმული. 1 ც.
152. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით. 1943 წ. 9 იანვარი. თბილისი. სტამბური. ხელს აწერენ: საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე – გ. სტურუა, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი – ვ. ეგნატაშვილი. მელანი. ბეჭედდასმული. 1 ც.
153. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით. 1946 წ. 5 მარტი. თბილისი. სტამბური. ხელს აწერენ: საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე – გ. სტურუა, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი – ვ. ეგნატაშვილი. ბეჭედდასმული. 1 ც.
154. აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლების პერიოდში საზოგადოებრიობის მხატვრული მომსახურეობისა და მაყურებელთა საერთო მოწონების დამსახურებისთვის. 1962 წ. 15 აგვისტო. ბათუმი. სტამბური. ხელნაწერი. ხელს აწერენ: აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე – რ. კომახიძე, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი – გ. მაზმანიშვილი. ტუში. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
155. სსრკ-ის კულტურის სამინისტროსა და რუსეთის თეატრალური საზოგადოების საპატიო სიგელი ჩეხოსლოვაკიის ფესტივალში მონაწილეობისას რუსთაველის სახელობის თეატრში დადგმული. კოპოუტის პიესაში „როცა ასეთი სიყვარულია“ კაცი მანტიით როლის შესრულებისთვის.

1966 წ. მოსკოვი. სტამბური. ხელნაწერი. ხელს აწერენ: სსრკ-ის კულტურის მინისტრი – ეკ. ფურცევა, სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე – მ. ცარიოვი. ტუში. რუსულ ენაზე. 1 ც.

156. საკავშირო საზოგადოება „ცოდნას“ სიგელი პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეების პროპაგანდისთვის.
1967 წ. 12 ივნისი. მოსკოვი. სტამბური. ნაბეჭდი. ხელს აწერს საკავშირო საზოგადოება „ცოდნას“ გამგეობის თავმჯდომარე – გვარი არ იკითხება. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.
157. საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის, საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის საპატიო სიგელი კინემატოგრაფიის სისტემაში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისთვის და საბჭოთა კინოს 50 წლისთავთან დაკავშირებით.
1967 წ. თბილისი. სტამბური. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: საქ. კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე – შ. სალარიძე, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი – ს. დოლიძე, საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე – ე. გოგიაშვილი. ბეჭედდასმული. 1 ც.

დიპლომები

158. სსრკ-ის სახელმწიფო პრემიის (პირველი ხარისხი) ლაურეატის დიპლომი კინოფილმ „გიორგი სააკაძეში“ შადიმან ბარათაშვილის როლის შესრულებისთვის.
1946 წ. მოსკოვი. სტამბური. ხელნაწერი. ტუში. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: ლენინური პრემიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში – ნ. ტიხონოვი, სწავლული მდივანი – ი. ვასილიევი. რუსულ ენაზე. 1 ც.
159. სსრკ-ის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის დიპლომი მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლში „მისი ვარსკვლავი“ გიორგი გიგაურის როლის შესრულებისთვის.
1952 წ. მოსკოვი. სტამბური. ხელნაწერი. ხელს აწერენ: ლენინური პრემიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში – ნ. ტიხონოვი, სწავლული მდივანი – ი. ვასილიევი. ტუში. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.
160. სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დიპლომი სსრკ-ის სახალხო არტისტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.
1958 წ. 17 აპრილი. მოსკოვი. სტამბური. ხელნაწერი. ხელს აწერენ: სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე (გვარი არ იკითხება), სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი – მ. გიორგაძე. ტუში. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.
161. მინსკის საბჭოთა ფილმების საკავშირო ფესტივალის პირველი ხარისხის დიპლომი კინოფილმში „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის.
ხელს აწერს ჟიუროს თავმჯდომარე (გვარი არ იკითხება).
1960 წ. 14-29 მაისი. მინსკი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.
162. მოსკოვის IV საერთაშორისო კინოფესტივალის პირველი ხარისხის დიპლომი კინოფილმში „ჯარისკაცის მამა“ მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის.
ხელს აწერს ჟიუროს თავმჯდომარე (გვარი არ იკითხება).
1965 წ. ივლისი. მოსკოვი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.
163. მოსკოვის კინოთეატრ „უდარნიკი“ ჩატარებული საბჭოთა ფილმების მაყურებელთა კონფერენციის ჟიურის დიპლომი კინოფილმში „ჯარისკაცის მამა“ მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის.
1965 წ. მოსკოვი. სტამბური. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ჟიურის თავმჯდომარე – ა. ვართანოვი, კინოთეატრ „უდარნიკის“ დირექტორი – ი. იურკინი, კინოთეატრ „უდარნიკის“ მეგობართა კლუბის თავმჯდომარე – ბ. ვორონინი, კინოთეატრ „უდარნიკის“ საბჭოს თავმჯდომარე – ი. დოროფეევი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.

164. **ლენინური პრემიის ლაურეატის დიპლომი კინოფილმში „ჯარისკაცის მამა“ გიორგი მახარაშვილის როლის შესრულებისთვის.**
1966 წ. 22 აპრილი. მოსკოვი. სტამბური. ხელს აწერენ: ლენინური პრემიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში – ნ. ტიხონოვი, სწავლული მდივანი – ი. ვასილიევი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.
165. სსრკ-ის კულტურის სამინისტროსა და სსრკ-ის მწერალთა კავშირის პირველი ხარისხის დიპლომი, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, საუკეთესო დრამატული სპექტაკლების საკავშირო კონკურსში წარმოდგენილ სპექტაკლში „სანამ ურემი გადაბრუნდება“ აგაბოს როლის შესრულებისთვის.
1970 წ. მოსკოვი. სტამბური. ხელს აწერენ: სსრკ-ის კულტურის მინისტრი – ე. ფურცევა, სსრკ-ის მწერალთა კავშირის პირველი მდივანი – კ. ფედინი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.
166. შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის დიპლომი (გარდაცვალების შემდეგ) ბოლო ორ წელიწადში შექმნილი სცენური სახეებისთვის.
1971 წ. 13 მაისი. თბილისი. სტამბური. ხელს აწერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე – გ. ჯავახიშვილი. 1 ც.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

პიესები, სცენარები

167. გიორგი ნახუცრიშვილის პიესა „ფიროსმანი“ (ავტორის ავტოგრაფით).
1960 წ. თბილისი. ნაბეჭდი. 91 გვ.
168. მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დასკვნითი საღამო-კონცერტის სცენარი.
1958 წ. თბილისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ფანქარი. მელანი. 23 გვ.
169. მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დასკვნითი საღამო-კონცერტის სცენარი (მოკლე ვარიანტი).
1958 წ. თბილისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. ჩანახატი. 36 გვ.
170. სცენარი კინოფილმისა „ბილიკი ზღვაზე“.
1960 წ. თბილისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. 43 გვ.
171. ს. ზაქარიაძის რადიოსცენარი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით.
1961 წ. თბილისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ფანქარი. მელანი. 36 გვ.
172. რ. ებრაღიძის ლიტერატურული სცენარი კინოფილმისთვის „სახალხო არტისტი“ (ს. ზაქარიაძე).
1968 წ. 1 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ფანქარი. მელანი. 38 გვ.
173. ს. ზაქარიაძის სცენარი „მარჯანიშვილის სახელობის თეატრში სპექტაკლის გასინჯვის შემდეგ“.
უთარილო. თბილისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ფანქარი. 12 გვ.
174. ს. ზაქარიაძის სცენარი „ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სცენა“.
უთარილო. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. ნაბეჭდი. 16 გვ.
175. ს. ზაქარიაძის რადიოსცენარი „ალექსანდრე ყაზბეგის „ელისო““.
უთარილო. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 7 გვ.
176. ს. ზაქარიაძის საბავშვო რადიოსცენარი იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებების მიხედვით.
უთარილო. თბილისი. ხელნაწერი. წითელი ფანქარი. ნაბეჭდი. 13 გვ.

177. ალექსანდრა გუჯაბიძის სცენარი თბილისის №1 საშუალო სკოლაში ს. ზაქარიასთან შეხვედრისა.
უთარილო. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 6 გვ.

ჩანაწერები

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შესახებ

178. ს. ზაქარიას ჩანაწერები მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან დაკავშირებით.
უთარილო. თბილისი. ბლოკნოტი. ხელნაწერი. მელანი. 56 გვ.
179. ს. ზაქარიას ჩანაწერები მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან დაკავშირებით.
უთარილო. თბილისი. ბლოკნოტი. ხელნაწერი. ფანქარი. 8 გვ.
180. ს. ზაქარიას ჩანაწერები მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან დაკავშირებით.
უთარილო. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 38 გვ.
181. ს. ზაქარიას ჩანაწერები მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან დაკავშირებით.
უთარილო. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 37 გვ.
182. ს. ზაქარიას ჩანაწერები მარჯანიშვილის სახელობის თეატრში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.
უთარილო. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 12 გვ.
183. ს. ზაქარიას ჩანაწერები მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან დაკავშირებით.
უთარილო. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 8 გვ.
184. ს. ზაქარიას ჩანაწერები მარჯანიშვილის სახელობის თეატრში არსებულ მდგომარეობასა და შ. ლამბაშიძესთან დაკავშირებით.
უთარილო. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 8 გვ.
185. ს. ზაქარიას ჩანაწერები ა. სამსონაძის პიესის „მერცხალის“, სპექტაკლ „მოკვეთილის“, სპექტაკლ „დიადი ზრახვების“, სტალინური პრემიის მიღებასთან დაკავშირებით. აგრეთვე კუზნეცოვის, პოპოვის, ზავადსკის აზრი მისი შემოქმედების შესახებ.
უთარილო. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 11 გვ.
186. ს. ზაქარიას ჩანაწერები შ. ლამბაშიძესა და ივ. გვინჩიძის კონფლიქტთან და თეატრში არსებულ შემოქმედებით-ადმინისტრაციულ ვითარებასთან დაკავშირებით.
უთარილო. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 25 გვ.
187. ს. ზაქარიას ჩანაწერები მარჯანიშვილის სახელობის თეატრში არსებულ ვითარებასა და ახალგაზრდა მსახიობებთან დაკავშირებით.
უთარილო. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 12 გვ.
188. ს. ზაქარიას ჩანაწერები მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ქუთაისში გასტროლებთან დაკავშირებით.
უთარილო. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 10 გვ.
189. ს. ზაქარიას ჩანაწერები მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლების იდეურ-მხატვრულ დონესთან დაკავშირებით.
უთარილო. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. ფანქარი. 3 გვ.
190. ს. ზაქარიას ჩანაწერები კ. მარჯანიშვილთან რეპეტიციებთან, მენენგინელების თეატრისა და თეატრში ნატურალიზმთან დაკავშირებით.
